# საქართველო
## ადგილობრივი თვითმმართველობა
## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA990134777963516

მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189, ინდექსი: 5800; ტელეფონი: +995 414 222193; ფაქსი: +995 414 222177;
ვებ-გვერდი: www.khobi.ge; ელექტრონული ფოსტა: gamgeoba@khobi.ge

**№ 06/347** **17 / თებერვალი / 2016 წ.**

/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ლალა წულაიას

ქალბატონო ლალა,

თქვენი 2016 წლის 10 თებერვლის # MESO1600120399 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის # 57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, განიხილა და შეითანხმა ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ჯაპიშაქრის შერწყმული უბნის საქვაბის ამორტიზირებული, ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოები.

პატივისცემით

გამგებელი გოჩა ქაჯაია